რამაზ სურმანიძე



ბაბილონი

2007

შპს „სამედიცინო განათლება“

რამაზ სურმანიძე

კურორტი ბათუმი

(გზამკვლევი)

გამომცემლობა „ალიონი“
ბათუმი
2007

კურორტ ბეშუმზე, მის განვითარებაზე, კლიმატურ-სამკურნალო ფაქტორებზე, ირგვლივ არსებული მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებზე, აგრეთვე ტურისტულ-საექსკურსიო ადგილებზე მოგითხრობთ ეს ბროშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ISBN 929-28-43-75-6
© გამომცემლობა „ალიონი“ – 2007
ISBN 929-28-43-75-6
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ტურიზმისა და საკურორტო ადგილების კეთილმოწყობა და პოპულარიზაციაა. ეროვნული შემოსავლების ზრდასთან ერთად ესაა ძლიერი ბერკეტი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და ორგანიზებული დასვენების შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველო კურორტების რესპუბლიკაა. იგი ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით განთქმულია მთელს მსოფლიოში.

საქართველოს საკურორტო სიმდიდრის გარკვეული ნაწილი აჭარაზე მოდის. აქ არის ზღვისპირა კლიმატური (ქობულეთი, ციხისძირი, ჩაქვი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი), ბალნეოლოგიური (მახინჯაურის, კოკოტაურის, ბოღაურის, შუახევის, ტომაშეთის მინერალური წყაროები) და მთის კლიმატური (ბეშუმი, ჩირუხი, სკურდა, მტირალა, გომის მთა) კურორტები.

დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს ზღვისპირა კურორტები: ქობულეთი, ბათუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვი და ციხისძირი, აგრეთვე ბეშუმი, კოკოტაური, მტირალა და ბოღაური,

აჭარის მოსახლეობას განსაკუთრებით იზიდავს მთიანი კურორტი ბეშუმი. მოკლე ცნობები ამ კურორტის შესახებ შეტანილია სხვადასხვა ავტორის წიგნებსა და სამეცნიერო შრომებში, ბეშუმის შესახებ ცალკე მონოგრაფია კი პირველად 1975 წელს გამოვაქვეყნეთ.

შეიძლება ითქვას,. რომ ბეშუმის სამკურნალო თვისებები საბოლოოდ დადგენილია, მაგრამ კურორტის პოპულარიზაცია არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შევსებული ბროშურის მეორედ გამოცემა. ეს კიდევ უფრო აუცილებელია იმიტომაც, რომ კურორტს აკლია კეთილმოწყობა, შემდგომი განაშენიანება და გამშვენიერება.

ჩვენ მიზნად დავისახეთ თავი მოგვეყარა კურორტ ბეშუმის შესახებ დღეისათვის არსებული მასალებისათვის. ვფიქრობთ ასეთი სახით მკითხველი კიდევ უფრო მეტს გაიგებს ამ შესანიშნავი კურორტის შესახებ, რაც გაზრდის ტურისტთა და დამსვენებელთა რიცხვს და გარკვეულ ბიძგს მისცემს კურორტის შემდგომ მეცნიერულ გამოკვლევას, კეთილმოწყობას და განვითარებას.

კურორტის წარსულიდან

საქართველოს სხვა მთიანი სამკურნალო ადგილების მსგავსად ბეშუმის* აღმოჩენაც ხალხის ემპირიული დაკვირვების შედეგია. საკუთრივ ბეშუმისა და მის ახლომახლო მიდამოებს აჭარის მოსახლეობა ადრიდანვე იყენებდა საძოვრებად და საზაფხულო საგარაკო ადგილებად. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა მოსახლეობა შინაურ პირუტყვს აგარაკებზე მიერეკებოდა, თან მიჰყავდა ბავშვები და მოხუცებულები, რომლებიც რამდენიმე თვეს ბეშუმში ატარებდნენ, სახლში დაბრუნებისას ისინი მხნედ და ჯანმაგრად გამოიყურებოდნენ.

ოსმალთა ბატონობისა და ცარიზმის კოლონიური უღლის დროს ხელისუფლებას აზრადაც არ მოსვლია აჭარის მთიანი სამკურნალო ადგილების კეთილმოწყობა. ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა ოცდაათიან წლებში, როცა საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლას ქართველი მეცნიერები შეუდგნენ.

ბეშუმის კლიმატურ-გეოგრაფიული და სამკურნალო თვისებების მეცნიერულ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის ექიმთა საზოგადოებას (დაასრდა 1896 წელს), რომლის წევრები პირველი დღეებიდანვე მოითხოვდნენ კურორტის კეთილმოწყობას და ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩაყენებას.

---

* მკვლევართა აზრით ბეშუმი ჯერჯერობით აუხსნელ ტოპონიმთა რიგს განეკუთვნება. გამოყოფენ მასში უმ სუფიქსს. მსგავსი ძირის (ბეშ-) მქონე ტოპონიმი (ბეშური) აჭარაში სხვაგანაც იძებნება, რა თქმა უნდა. სიტყვათა ამ ძირებს არაფერი აქვთ საერთო თურქულ "ბეშ"-თან (ხუთი).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აჭარის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები იმთავითვე მხარს უჭერდნენ მედიცინის მუშაკთა დასაბუთებულ მოთხოვნას და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მის განხორციელებას.

1925 წლის აგვისტოში მეხუთე სრულიად საკავშირო საკურორტო ყრილობაზე ქ. პიატიგორსკში წაიკითხეს ბათუმიდან გაგზავნილი მოხსენება „ბათუმი, ქობულეთი და მათი შემოგარენი, როგორც კლიმატური სადგურები". ყრილობამ მოიწონა ნაშრომში წამოყენებული წინადადება და, აჭარის ზღვისპირა კურორტების გარდა, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ადგილებად აღიარა ქედის და ხულოს რაიონების ზოგიერთი სოფლები, აგრეთვე გოდერძის უღელტეხილი, ბეშუმი, მტირალა და სხვა.

იმავე წლის სექტემბერში ქ. ბათუმში ჩატარებულ შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობაზეც დიდი მნიშვნელობა მიენიჭა აჭარის მთიან კურორტებს, განსაკუთრებით გამოიყო გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიდამოები, რომელთაც ძალზე კარგი კლიმატური მონაცემები ჰქონდათ.

აჭარის კურორტების საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა დაიწყო 1933 წლის გაზაფხულზე, როცა შეიქმნა სპეციალური საკურორტო კომისია.

იმავე წლის დეკემბერში საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აჭარის ექიმთა საზოგადოების და აჭარის მთავარი საკურორტო სამმართველოს ინიციატივით ბათუმში მოეწყო აჭარის პირველი რესპუბლიკური საკურორტო კონფერენცია, რომელშიც ცნობილ ქართველ მეცნიერებთან (ი. კონიაშვილი, ნ. კეცხოველი, ა. ყანჩელი, ა. თუმანიშვილი, ი. ასლანიშვილი, გ. ჭირაქაძე, ლ. ქუთათელაძე და სხვები) ერთად მონაწილეობდნენ რუსეთის წამყვანი პროფესორები: ა. ლაისტერი, ა. სადოვსკი, ი. კორნევი და სხვები.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოსულმა ექიმმა ა. თუმანიშვილმა დაასაბუთა მთიანი აჭარის საკურორტო მნიშვნელობა და თქვა: „აჭარის მთიანი ნაწილი თავის მკვლევარს მოელის; ეს საქმე არა მარტო აჭარის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს და უნდა დაიწყოს უახლოეს მომავალში". აჭარის საკურორტო რესურსების შესანიშნავი მცოდნე ა. თუმანიშვილი მოითხოვდა მტირალას, ჩირუხის, სარიჩაის, ბეშუმის, ყანლის, ტყემრგვალას, გომის მთის და სხვა საგარაკო ადგილების გამოკვლევას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას.

ექიმი ა.ა. თუმანიშვილი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი დაიბადა 1874 წელს ოზურგეთში, დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი (1904 წ.) და სამუშაოდ ჩამოვიდა ბათუმში, აქ იგი აირჩიეს ექიმთა საზოგადოების ნამდვილ

წევრად და შეიყვანეს კომისიაში, რომელიც სწავლობდა ბათუმის სამკურნალო კლიმატურ ფაქტორებს, კერძოდ ზღვის წყლის სამკურნალოდ გამოყენებას.

ა თუმანიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის, გარემოს გაჯანსაღების და საკურორტო რესურსების შესწავლა-ათვისების საქმეში. იგი ითვლება კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამსახურების დამფუძნებლად აჭარაში.

1922 წელს ა. თუმანიშვილის ინიციატივით ბათუმში გაიხსნა ფიზიოთერაპიული კაბინეტი, ხოლო 1930 წელს, პროფ. ივანე კონიაშვილის დახმარებით, მან გახსნა კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მოაწყო საკურორტო ექსპედიციები აჭარაში. 1938 წელს კურორტოლოგიის ინსტიტუტი ცალკე გამოიყო, ორივე ინსტიტუტის დირექტორი ა. თუმანიშვილი იყო.

ა. თუმანიშვილი გარდაიცვალა 1941 წელს.

კონფერენციაზე ა. თუმანიშვილმა ჩამოთვლილი ადგილებიდან განსაკუთრებით აღნიშნა ბეშუმის შესახებ და გაიხსენა ხანდაზმულთა შემდეგი გადმოცემა: როცა ჭლექით შეპყრობილი რუსეთის მეფისწულის, გიორგისათვის სურდათ მოეწყოთ სამკურნალო აგარაკი, არჩევანი შეაჩერეს ბეშუმზე, მაგრამ საზღვრის სიახლოვის, უგზოობის და სხვა მიზეზების გამო ეს აზრი შეცვალეს და აგარაკი მოაწყვეს აბასთუმანშიო.

ეს ფაქტი ერთჯერ კიდევ მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორი პოპულარუობით სარგებლობდა ბეშუმი არამარტოადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ ცარიზმისდროინდელ მაღალი ფენის მოხელეთა შორისაც.

1933 წლის გაზაფხულზე ბეშუმს ეწვივნენ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი მ. სურმანიძე და ხულოს რაიონის ხელმძღვანელები. შერჩეულ იქნა შესაფერისი ადგილი, სადაც აიგო რამდენიმე შენობა. 1934 წელს აქ გაიხსნა 300-ადგილიანი პიონერთა ბანაკი, რომელიც ყოველწლიურად 600-მდე მოსწავლეს ემსახურებოდა.

მოსწავლეთა' ბანაკი და ბავშვთა სახლი

1934 წლის აგვისტოში აჭარაში ჩამოვიდნენ ცნობილი ლენინგრადელი მეცნიერი-კურორტოლოგები, პროფესორები ნ. შვარცი და ნ. ზარნიცინი. აჭარის მთავრობის თხოვნით ისინი, პროფესორ ი. კონიაშვილთან ერთად, ბეშუმში გაემგზავრნენ. „როგორც კი მოუახლოვდებით ბეშუმს, გრძნობთ მთის კლიმატის გასაოცარ გავლენას, ჰაერი ოზონითაა გაჯერებული, სუფთაა, ძლიერია მზის რადიაცია, ყოველივე ეს კი სასარგებლოდ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე“ — ასე გამოხატეს მეცნიერებმა თავიანთი შთაბეჭდილება ბეშუმში ასვლისთანავე. ისინი ეწვივნენ მოსწავლეთა ბანაკსაც და თქვეს: „ბავშვების გაცნობამ დაგვარწმუნა, თუ როგორ გავლენას ახდენს ბეშუმის ჰავა ნორჩების ორგანიზმზე. ისინი გაკაჟებულნი, სიცოცხლით სავსენი არიან, მხნედ გამოიყურებიან“.

მეცნიერები შეხვდნენ აგრეთვე 100 წელს გადაცილებულ მოხუცებს, რომლებიც ყოველ ზაფხულს აქ ატარებდნენ. მათმა გარეგნულმა გამომეტყველებამ, სამედიცინო გამოკვლევამ და ნათქვამმა სტუმრები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბეშუმის კლიმატი სასარგებლოა არა მარტო ბავშვების, არამედ მოზრდილებისა და ხანშიშესულებისთვისაც.

პროფესორებმა დაათვალიერეს და ადგილზევე გამოიკვლიეს აგრეთვე ბეშუმის ახლომახლო არსებული მინერალური წყაროებიც, მაღალი შეფასება მისცეს მათ და დაასკვნეს, რომ „ბეშუმი წარმოადგენს მთის კლიმატური და ბალნეოლოგიერი მკურნალობის ფაქტორთა კომბინატს“.

ზემოთქმულთან ერთად მეცნიერებმა გულისტკივილით აღნიშნეს კურორტის კეთილმოწყობის მეტად ნელი ტემპი, ისინი საოლქო გაზეთის „საბჭოთა აჭარისტანის“ ფურცლებით ადგილობრივ ორგანოებს მოუწოდებდნენ, რაც შეიძლება მალე დაეწყოთ კურორტის მშენებლობა, აეთვისებინათ აგრეთვე ბეშუმთან ახლოს მდებარე ორგანიზმის გაჯანსაღების ახალი კერა – რკინასულ-ფატური და გოგირდწყალბადიანი წყაროები, რომელთაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ბეშუმის შემდგომი აღმშენებლობითი საქმიანობა შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა, ხოლო 1947 წელს კვლავ განახლდა კურორტის კეთილმოწყობა. აშენდა 50-ადგილიანი სანატორიუმი, რომელიც 70-იან წლებში შეცვალა ათმა ოცადგილიანმა დასასვენებელმა სახლმა, საკუთარი კანალიზაციით, წყალმომარაგებით და სათავსოებით. მოსწავლეთა ბანაკი გაფართოვდა 150 ადგილით, აშენდა 100 ადგილიანი ბავშვთა სახლი და ა. შ.



პანსიონატის კორპუსები

მდებარეობა და კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორები

ბეშუმი მდებარეობს ზღვის დონიდან 1830 მეტრზე, ქ. ბათუმიდან კურორტი დაშორებულია 129 კილომეტრით, გოდერძის უღელტეხილიდან კი – 8 კილომეტრით. საავტომობილო გზით ბეშუმი უკავშირდება ქ. ბათუმსა და ადიგენის რაიონის ცენტრს, ამ უკანასკნელთან რკინიგზის უახლოეს სადგურამდე, ახალციხემდე 32 კილომეტრია.

კურორტი ბეშუმი მდებარეობს არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, სადაც ატმოსფერული დინება დაღმავალი ხასიათისაა, ვითარდება ფერდობების ადიაბატური შეთბობა, რითაც მცირდება ჰავის ტენიანობა. ამავე სიმაღლის დასავლეთ ფერდობთან შედარებით ნალექების რაოდენობა ბევრად მცირეა.

ბეშუმის კლიმატის ძირითადი მაჩვენებლების შედარებითი ცხრილი (აგვისტო)

ბათუმი	ხულო	აბასთუმანი	ბახმარო	ბეშუმი
საშუალო თვიური ტემპერატურა C^0				
+23,3	+18,8	+18	+14	+15,4
ჰაერის შედარებითი ტენიანობა პროცენტებში				
84	76	71	80	72
ქარის მოძრაობის საშუალო თვიური სიჩქარე				
1,3	1,8	1,2	0,8	1,1
ღრუბლიან დღეთა რაოდენობა				
17	12	9	12	8
ნალექების რაოდენობა მმ-ში				
88	38	55	64	29
წვიმიან დღეთა რაოდენობა				
13	11	9	15	8
მოწმენდილ დღეთა რაოდენობა				
6	8	11	9	10

კურორტისათვის დამახასიათებელია მაღალმთიანი ზომიერი კონტინენტური ტიპის კლიმატი, რომელიც აბასთუმნის კლიმატს უახლოვდება.

წლების განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ მაღალი მდებარეობის მიუხედავად ზაფხულის თვეებში ბეშუმი, ზოგიერთ სხვა მაღალმთიან კურორტთან

შედარებით, თბილია. ასევე დაბალია ჰაერის შედარებითი ტენიანობა, კურორტი თითქმის მთლიანად დაცულია ძლიერი ქარების ზემოქმედებისაგან, ნალექები უმნიშვნელოა. ზაფხულში ბეშუმში საკმაოდ ხშირია მოწმენდილი ამინდი. წვიმიან დღეთა სიმცირით მას საქართველოს სხვა კურორტებთან შედარებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

კლიმატური ფაქტორების მთელი კომპლექსი: ჰაერის გამჭვირვალობა და უმნიშვნელო ტენიანობა, მზის გაძლიერებული რადიაცია, ულტრაიისფერი სხივების სიუხვე, კარგი სასმელი და მინერალური წყლები, მოხერხებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მდიდარი ფლორა საშუალებას იძლევა ავადმყოფს ჩაუტარდეს ჰელიოთერაპია, აეროთერაპია და ბალნეოთერაპია. მეცნიერთა მონაცემებით დასტურდება, რომ ბეშუმის კლიმატი გამაჯანსაღებლად მოქმედებს სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების, ბრონქიალური ჯირკვლების ქრონიკული ანთების, ნევრასთენიის და მეორადი ანემიის დროს.

საექსკურსიო და ტურისტული ადგილები

კურორტ ბეშუმის ერთ-ერთ ღირსებად ითვლება ტურისტულ-საექსკურსიო ისტორიული ადგილების, მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლების სიუხვე და სიახლოვე. ეს მდგომარეობა დამსვენელთა კულტურული მომსახურების კარგ პირობებს ქმნის და თავის მხრივ ხელს უწყობს მათს გაჯანსაღებას.

საუკეთესო დასასვენებელ ადგილად ითვლება ბეშუმის მახლობლად დიდაჭარის მთაზე არსებული ორი ტბა: ზემო და

ქვემო. ქვემო ტბას ირგვლივ შერეული ტყის მასივები აკრავს. მდებარეობა მიმზიდველია და დამსვენებელთა მოწონებას იმსახურებს. მოსახლეობა მას მწვანე ტბასაც უწოდებს. ტბის სარკე 3000 კვ. მეტრს უდრის. სიღრმე 14 მეტრამდე აღწევს და შეიძლება გამოვიყენოთ ნავით გასასეირნებლად.



მწვანე ტბა

ზემო ტბა კიდევ უფრო დიდია, მდებარეობს ალპური საძოვრების ტერიტორიაზე და მნახველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ტურისტთა და დამსვენებელთა დიდ ინტერესს იწვევს გოდერძის უღელტეხილის ახლომახლო მდებარე რელიქტური წიფლის ტყე, რომელიც ერთ-ერთი იშვიათობაა საქართველოში.

ხახანის მთა

ხახანის მთის ხედი ცახე-სიმაგრიდან

ხედი ხიხანის ციხე-სიმაგრიდან

სელიმ ხიმშიაშვილის
საკვდილის დასჯის ადგილი
ს. სერიყანაში



ხიხანის ციხე-კოშკი

6-3047

საინტერესოა გოდერძის უღელტეხილზე, ადიგენისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ აღმოჩენილი მიწისქვეშა გვირაბი. არსებობს ლეგენდა, თითქოს ხიხანის ციხეში ჩაკეტილი, მტრისაგან დევნილი თამარ მეფე ამ გვირაბით გადმოდიოდა ზარზმის ეკლესიაში სალოცავადო. თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ გვირაბით გარესამყაროს უკავშირდებოდნენ ადგილობრივი ციხე-სიმაგრიდან, რომლის ნაშთები აღარ დარჩა.

ტურისტებსა და მოლაშქრეებს ოთხიოდე საათში შეუძლიათ ავიდნენ ხიხანის ცნობილ ციხე-სიმაგრეზე, რომელიც ზღვის დონიდან 2600 მეტრზე მდებარეობს. იგი წარსულში თავისუფლებისათვის მებრძოლი აჭარლების ერთ-ერთ მიუვალ ბასტიონს წარმოადგენდა. აქ იყვნენ თავშეფარებული იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გურიის მთავრები სიმონ და ქაიხოსრო გურიელები. აქ შეიპყრეს ოსმალთა უღლისაგან აჭარის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსათავისუფლებლად ხმალშემართული პატრიოტი, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი სელიმ ხიმშიაშვილი.

საინტერესო საექსკურსიო და ტურისტულ ადგილს მიეკუთვნება თვით გოდერძის უღელტეხილი. დიდი ქართველი მწერლის მ. ჯავახიშვილის აზრით ეს სახელწოდება უღელტეხილს მე-12 საუკუნის ქართველი პოეტის გოდერძის სახელის მიხედვით შეერქვა.

უღელტეხილიდან ადიგენისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ, გვერდობებზე მოგზაური შენიშნავს ვულკანური ობსიდიანის ქანებს, კაჟს, რომელზეც შენარჩუნებულია გაქვავებული მცენარის ღეროებისა და ფოთლების გამოსახულებები.

საქართველოს ისტორიის მრავალი მომენტი, ბრძოლისა და მშვიდობანი ცხოვრების ამბებია დაკავშირებული ამ ადგილებთან. გოდერძის უღელტეხილი წარსულში წარმოადგენდა ერთადერთ გზას, რომელიც აკავშირებდა სამცხე-საათაბაგოსთან, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და საერისთავოს, აჭარას. ამ გზით სარგებლობდნენ საქართველოს ჯარები, ადგილობრივი მცხოვრებლები, ვაჭრები და უცხოელი მოგზაურები. ამ გზით იმოგზაურა სულხან-საბამ, დიდმა მოურავმა, ჟან შარდენმა, რაფიელ დანიბეგაშვილმა, შესაძლოა შოთა რუსთაველმაც. სამწუხაროდ ამ გზით გადმოვიდა აჭარაში XI არმიის ქვედანაყოფი, რომელმაც დაამხო ამ მხარეში საქართველოს დამოუკიდებლობა და მოახდინა ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია.

გოდერძის უღელტეხილზე არის სასტუმრო, სასადილო და მომსახურების სხვა ობიექტები, რაც კიდევ უფრო აადვილებს ექსკურსიების მოწყობას.

შესანიშნავ საექსკურსიო ადგილად ითვლება ბეშუმის მახლობლად მდებარე ჭედელეთის ტყე და იქ არსებული ნამოსახლარი, რომელსაც მოსახლეობა ნაქალაქევს უწოდებს,

ნორჩი მოლაშქრეები ბეშუმში

ხოლო მეცნიერები ძეგლს წინაქრისტიანულ ხანას აკუთვნებენ. ნამოსახლარში ორი უბანია, რომელშიც 53 შენობაა დაცული. ისინი ორიგინალურად ნაშენებია რთული არქიტექტურული დეტალებით. აქვს ქვის დერეფნები, კარები. ნაწილობრივ დაცულია სახურავებიც. ნამოსახლარის ახლომახლო აღმოჩნდა 2 ქვის ჯვარი, რომელზეც მზის დისკოა გამოსახული.

კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ვაშლობის ნაქალაქარი, სადაც პირველი ექსპედიცია 1940 წელს მივიდა ხარიტონ ახვლედიანის ხელმძღვანელობით. ეს ადგილები გოდერძის უღელტეხილიდან 3-4 კილომეტრითაა დაშორებული და ადიგენისაკენ მიმავალი ძველი გზის ახლომახლოა განლაგებული. ისტორიული ძინძეს ·ხეობაში მდინარე ლოდიძირისა და ბეშუმისწყლის შესართავთან ვაკე ადგილზე შე-

იმჩნევა ნასახლარი. აქ დიდი სოფელი ყოფილა, ქვითკირის შენობებით, რომელთა მხოლოდ ნანგრევები-ღა დარჩენილა. აქვეა სასაფლაოც. ამ ადგილას ბოლო წლებში ასლან-ბეგ ხიმშიაშვილს ხე-ტყის ქარხანა ჰქონია გამართული.

ვაშლობში სული-აღა ბოლქვაძის ეზოში შემორჩენილია ქვის ნაგებობების ნაშთები, რომელიც ერთმანეთთან 1 მეტრამდე სიფართის დარანითაა დაკავშირებული. შენობებს შორის ჩატანებულია ლამაზად გათლილი ქვა, რომელზედაც ბიზანტიური ცვარია გამოსახული. 1928-30 წლებში რამდენიმე წარწერიანი ქვა აქედან ზარზმის ეკლესიაში გადაუტანიათ.

ვაშლობიდან მახაჭალისაკენ მიმავალ გზაზე ტურისტი საკმაოდ მოზრდილ ნაქალაქარსაც ნახავს. აქ ზოგან კარგადაა დაცული დარბაზები და შენობათა შემაერთებელი კომუნიკაციები (დერეფნები და დარანები). ნასახლარები თითქმის 6-7 კმ-ზე ვრცელდება, რაც წარსულში აქ საკმაოდ დიდი ქალაქის არსებობაზე მიგვანიშნებს.

შემორჩენილია 3 მეტრის სიფართის გზისა თუ იმდროინდელი ქუჩის ნაშთიც, რომელსაც ორივე მხარეს ქვის დაბალი ყორე აქვს შემოვლებული. აქაც ბევრია ქვაჯვარები, მიწისქვეშა გვირაბები და სხვა უძველესი ნაშთები, რომლებიც შესაძლოა ქრისტიანობამდელ პერიოდს მიეკუთვნებოდეს.

ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის ნაკლებ საინტერესო არ არის აგრეთვე ბეშუმის ახლო მდებარე გეოგრაფიული ადგილები, რომლებიც დასახელებული აქვთ XII საუკუნის ქართველ მწერალსა და ასტრონომს აბუსერისძეტბელს და ბასილი ზარზმელს (X ს.).

ავტოექსკურსანტებს ერთი დღის განმავლობაში შეუძლიათ დაათვალიერონ სამხრეთ საქართველოს ისეთი განთქმული ღირსშესანიშნაობანი, როგორიცაა: ზარზმა, აბას-

თუმანი, სოფელი რუსთავი, თმოგვი, ვარძია, ხერთვისი და სხვა ისტორიული ადგილები.

ცხენოსანთა შეჯიბრი

საკურორტო მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება

ამჟამად ბეშუმში მოქმედებს დასასვენებელი სახლები, რომლებშიც საწოლთა საერთო რაოდენობა 200-ია, მოსწავლეთა ბანაკი 450 ადგილზე. კურორტს ემსახურება კაპიტალური კლუბი, სასადილო, აგრეთვე 10 კეთილმოწყობილი საოჯახო და დასასვენებელი სახლი. თითოეული 20-20 ადგილით.

კურორტი სარგებლობს წყალსადენით, გაყვანილია ელექტროხაზი, აქვს სატელეფონო კავშირი ხულოს რაიონულ ცენტრთან, კურორტის მთელი ტერიტორია დაფარულია მობილური სატელეფონო ქსელით. ჩატარდა ბეშუმ-გოდერძის გზატკეცილის გაფართოება-რეკონსტრუქცია. ზაფხულის სეზონზე ბეშუმში ეწყობა სავაჭროები, მაღაზიები, სასაუზმე და სასადილო. არის სასტუმრო, საექიმო პუნქტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

კურორტი ბეშუმი, კურძო სექტორი

განზრახულია მოწესრიგდეს ბეშუმის კომუნალური მომსახურება, მოგვარდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების და საცხოვრებელი სახლების ეზოების სანიტარული დასუფთავება. სახელმწიფო ორგანიზაციების ხის შენობები

შეიცვლება ქვის ნაგებობებით. ამას აადვილებს ბეშუმის მიდამოების საშენი ქვის მდიდარი მარაგი.

კურორტს გარს აკრავს საგაზაფხულო საძოვრები, იაილები. აქ შეიძლება მოეწყოს რძის გადასამუშავებელი სეზონური საამქრო, ხორცის, რძის, ნაყინის, ყველის საწარმოები, ე. ი. შესაძლოა კურორტი მთლიანად მომარაგდეს ადგილობრივი საშუალებებით.

მთიბავები

აჭარის სოფლების გარდა, ბეშუმში ბოსტნეული, ხილი, კარტოფილი, მეცხოველეობის პროდუქტები ადიგენის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონებიდანაც შემოაქვთ; მომავალში გაფართოვდება ბაზარი, რათა ხელი შეეწყოს მისი სრული დატვირთვით მუშაობას.

მინერალური წყლები

კურორტის განვითარების დიდ პერსპექტივებს სახავს ბეშუმის მახლობლად, 2-3 კილომეტრზე არსებული მინერალური წყლები. მათ ხალხი ძველთაგანვე პრიმიტიული წესით იყენებს სასმელად და აბაზანებისათვისაც. ერთი წყარო მიეკუთვნება რკინიან სულფატურ წყლებს. წყალი გამჭვირვალე, უსუნოა. სადღეღამისო დებიტი 35000 ლიტრს აღემატება. წყაროს ტემპერატურა +6 –10 გრადუსამდეა, დალევისას ოდნავ იგრძნობა ლითონის გემო, მაგრამ არავითარ უსიამოვნო შეგრძნებას არ იწვევს.

"აქ კურორტი არ იყო, არც ერთი სახლი არ იდგა, არც იაილები იყო ახლომახლო, მაგრამ მოსახლეობა შორიდან დადიოდა აბაზანებზეო", – გვიამბო 1967 წელს ხულოელმა, 80 წლის ქაზიმ მესხმა, რომელიც კარგად იცნობს ამ მიდამოებს. "ერთი წყალი კუჭის ავადმყოფობას არჩენს, მეორე კანის სნეულებასო", – თქვეს ბზუბზუელმა 88 წლის ბოლქვაძემ, ცხმორისელმა 91 წლის ოსმან ანანიძემ, თხილნარელმა 91 წლის ოსმან შერვაშიძემ და სხვებმა. ხანდაზმულები მარტო საკუთარი შთაბეჭდილებებით როდი მსჯელობდნენ. მათ დაასახელეს რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც ბეშუმის წყლებით განიკურნენ.

რკინიანი წყალი მინერალური რესურსების ერთ-ერთი იშვიათი შემადგენლობის ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთი წყალი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის აღმოჩენილი. ბეშუმის ერთ ლიტრ წყალში რკინა 50 მილიგრამამდე აღწევს. რკინის ასეთი სიმცირე წყაროს დიდ უპირატესობას ანიჭებს, რადგანაც რკინის დიდ კონცენტრაციას ყველა ორგანიზმი ვერ ეგუება და ზოგჯერ უარყოფით

რეაქციას იძლევა. ამ წყაროს უპირატესობა ისიც არის, რომ რკინა კარგ კომბინაციაშია ქლორიან ნატრიუმთან და სხვა ტუტოვან მარილებთან.

რკინის წყარო განსაკუთრებით ძვირფასი სამკურნალო თვისებისაა, თუ იგი გამოიყენება ადგილზე, ცხელ დღეებში, მზის რადიაციასთან კომბინაციაში. ასეთ პირობებში რკინას ორგანიზმი ადვილად ითვისებს. საყურადღებოა, რომ სხვა რკინიან წყლლებისაგან განსხვავებით, ბეშუმის წყარო ბოთლებში ჩამოსხმისას და შენახვისას არ იძლევა ნალექს და ინარჩუნებს ძვირფას თვისებებს. იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ კუჭ-ნაწლავის დაავადებების (ქრონიკული გასტრიტი, კოლიტი) და სისხლნაკლებობის დროს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის.

სპეციალისტების დასკვნით შიგნით მიღებასთან ერთად ბეშუმის წყალი შეიძლება გამოვიყენოთ აბაზანების სახით კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს, როგორიცაა: ეგზემა, ფსორიაზი, ოფლიანობა, ქალის სასქესო ორგანოების ქრონიკული ანთებები და სხვა.

მეორე წყაროსთან მისვლისთანავე იგრძნობა გოგირდის მძაფრი სუნი. ლაბორატორიული ანალიზი ადასტურებს, რომ იგი მიეკუთვნება თბილისისა და მახინჯაურის ტიპის გოგირდწყალბადიან წყაროებს, ამიტომ იგი უნდა გამოვიყენოთ არა დასალევად, არამედ როგორც ბალნეოლოგიური საშუალება სააბაზანოდ, კანის, სახსრების და პერიფერიული ნერვული სისტემის სამკურნალოდ. გოგირდის დაახლოებით 80% გოგირდოვანი ნატრიუმის, 20 პროცენტი კი თავისუფალი გოგირდის სახითაა წარმოდგენილი. ანიონები ძირითადად კარბონატებისა და სულფატების იონებისაგან შედგება. ბრომის და იოდის იონები სრულიად არ არის. კათიონების დიდი ნაწილი (82 პროცენტი) ტუტე იონებით არის

წარმოდგენილი. რადიაქტიობა დასაშვები ნორმის ფარგლებში მერყეობს. წყალი ცივია 6-10 გრადუსამდე, ამიტომ ხმა-რების წინა აუცილებელია მისი გათბობა.

წყაროს მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ იგი, ჯერ ერთი ახლოსაა ბეშუმის ტერიტორიიდან, მეორეც, მხოლოდ 100 მეტრითაა დაშორებული რკინიანი წყაროსაგან, რაც აადვილებს ორივე წყაროთი ერთდროულ კომპლექსურ მკურნალობას.

კურორტის მომავალი

ბეშუმის კლიმატური ფაქტორები, მინერალურ რესურსებთან ერთად, საშუალებას იძლევიან აქ მოვაწყოთ კლიმატურ-ბალნეოლოგიური პანსიონატი, რომელიც ერთ-დროულად 100-მდე დამსვენებელსა და ავადმყოფს მიიღებს. წინასწარი მონაცემებით წყაროები არ ჩამოუვარდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არცერთ ამ ტიპის სამკურნალო წყალს.

ბეშუმი, როგორც აღვნიშნეთ, წარსულშივე მიჩნეულია აბასთუმნის ტიპის კურორტად. ამიტომ აქაც შეიძლება მოეწყოს სანატორიუმები ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. ბათუმ-ხულოსა და ხულო-ადიგენის გზის რეკონსტრუქცია, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ამ კურორტით სარგებლობას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის არამარტო ბათუმისა და აჭარის რაიონების მოსახლეობის, არამედ ჩვენი ქვეყნისა და უცხოელი ტურისტების, აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობისათვის, რომელსაც გეოგრაფიული მდებარეობა ისტორიულად აკავშირებს აჭარასთან.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებრივი მონაცემებით ბეშუმი საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კურორტია. ბუნების იშვიათი სილამაზე, გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ისტორიული ძეგლები და ტურისტული ადგილები, შესანიშნავი ალპური ხედები, დიდი ტყის მასივი სხვადასხვა მცენარეული საფარით, რომელიც გარს ეკვლება კურორტს, კარგი კლიმატი, სუფთა იონიზებული ჰაერი და ბოლოს, იშვიათი შემადგენლობის მინერალური წყლები საკმაო დებიტით, საშუალებას იძლევა ბეშუმი გადაიქცეს ერთ მთლიან ტურისტულ-საკურორტო და კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კომბინატად და ჩადგეს საქართველოს ცნობილი კურორტების რიგში.

მკურნალობის ჩვენებანი
და წინააღმდეგ ჩვენებანი*

ჩვენებანი: სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებანი; ადჰეზიური ქრონიკული პლევრიტი; ნევრასთენია. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი; ბრონქადენიტი, ლიმფადენიტი, ქლოროზი, ფილტვის და პლევრის ანთებაგადატანილი რეკონვალესცენტები.

წინააღმდეგ ჩვენებანი: ყველა სახის გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი არამტკიცე კომპენსაციით; სისხლით ხველებისადმი მიდრეკილება; ნევრასთენიის მძიმე ფორმები: ჰიპერტონიული სნეულება (III სტადია).

---

* საბოლოო ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები 1974 წელს კლინიკურად შეისწავლა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილების სპეციალურმა ექსპედიციამ.

ლიტერატურა

1. **დიასამიძე ა.**, აჭარის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები, ბათუმი, 1961.
2. Курорты Аджарии, сост. А. Шервашидзе, Батуми, 1951.
3. Курорты АССР Аджарии, Тбилиси, 1936.
4. **Нодия М.**, Курортные богатства Грузии, Тбилиси, 1963.
5. **Нижарадзе Н., Джибути Н.**, Аджария, Батуми, 1978.
6. **პერტია ა.**, ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.
7. Протоколы и труды Общества врачей в. г. Батуми, Батум, 1926.
8. **სხარულიძე ი.**, ტბელ აბუსერისძე, ბათუმი, 1963.
9. **ხურმანიძე რ.**, უქმად დაღვრილი ელექსირი, ჟურნალი „საქართველოს ბუნება“, №6, 1970.
10. **ხურმანიძე რ.**, – ბეშუმი. ბათუმი. 1975.
11. **შაშიკაშვილი ნ., დიასამიძე ი. ქურჩიშვილი ი.**, ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში, თბილისი, 1958.
12. **ჭანტურია ჯ.**, გოდერძის მიდამოებში ერთი დღემდე უცნობი „ნაქალაქევად“ წოდებული, განსაკუთრებული ნამოსახლარის შესახებ, საქ. სსრ პედინსტიტუტის სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ქუთაისი, 1954.

Резюме

В книге профессора Р.Д. Сурманидзе детально характеризуется горноклиматический курорт Грузии (Хулойский район, Аджарская А.Р.) Бешуми, в 140 км к Востоку от Батуми. Сообщение с центром автономной республики автомобильное. Курорт расположен на склонах Арсианского хребта Малого Кавказа на высоте 1830 метров, в 6 км от перевала Годердзи (высота 2030 м.). В районе Бешуми преобладают хвойные леса, главным образом ель и сосна. Климат влажный, субтропический. Зима мягкая, многоснежная; средняя температура января -5°С; лето теплое; средняя температура августа +17°С. Осадков 1100 мм в год. Преобладают слабые западные ветры.

Исключительно чистый и прозрачный воздух, близость Черного моря, смягчающего климат, благоприятны для проведения климатотерапии при неспецифических заболеваниях органов дыхания (в том числе бронхиальной астме) и для их профилактики (особенно в детском возрасте). Летом (в июне-августе) функционируют дома отдыха, лагеря для учащихся и туристические базы.

В 2 км от курорта расположены выходы лечебных минеральных источников, после освоения которых, в Бешуми возможно организовать комплексное климато-бальнеологическое лечение.

В окрестностях курорта расположены достопримечательности: городище (XI в.), развалины крепости и церквей (XII-XIV вв.), реликтовый лес (бук) и др.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

კურორტის წარსულიდან 5

მდებარეობა და კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორები 11

საექსკურსიო და ტურისტული ადგილები..... 13

საკურორტო მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება..... 21

მინერალური წყლები 24

კურორტის მომავალი 26

მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი..... 27

ლიტერატურა 28

Резюме 29

35

ინ 39/1093

გამომცემლობის რედაქტორი **ომარ მეგრელიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი **ოთარი თურმანიძე**

დამკაბადონებელი **ანაიდა ავეტისიანი**

ქაღალდის ზომა 84x108 1/32
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2
ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, ერას, 91

Ш,Э,Ь. "Ьтамба", ბათუმი, მარჯანიშვილის 2

К 326 047
3